პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

10 თებერვალი, სამშაბათი, 1987 წ.
№ 28 (9439) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## დაზარალებულთა დასახმარებლად

● ინტერნაციონალური მეგობრობისა და უბედურებაში თანადგომის გამოხატულებად იქცა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალისტთა ექვსეულის თბილისის ტურის მონაწილე სპორტსმენთა, მწვრთნელთა და მსაჯთა ერთსულოვანი გადაწყვეტილება, დაეხმარონ სტიქიით დაზარალებულებს. ტურის ბოლო მატჩების წინ კალათბურთელებმა, მათმა აღმზრდელებმა და მსაჯებმა 1000 მანეთი შეაგროვეს ჩვენს რესპუბლიკაში იმ ოჯახების დასახმარებლად, რომლებიც ბუნების მძვინვარების შედეგად უსახლკაროდ დარჩნენ.

● თბილისის განათლების სამმართველოს კოლექტივებმა 2.700 მანეთი გადარიცხეს № 700 ანგარიშზე.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის წევრების

# მიმართვა

## რესპუბლიკის საზოგადოებრიობისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენმა რესპუბლიკამ საკმაო წარმატებები მოიპოვა ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში. მისი კულტურის მიღწევებს ტაშს უკრავს მთელი მსოფლიო. ქება და დიდება ამისათვის ჩვენს მუშებსა და კოლმეურნეებს, ინჟინრებსა და მეცნიერებს, კულტურის მოღვაწეებს, ჩვენს სახელოვან ახალგაზრდობას.

არ შეიძლება არ შევნიშნოთ ისიც, რომ რესპუბლიკაში მიმდინარეობს მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღების პროცესები, აქტიურდება ბრძოლა ყველგან და ყველაფერში დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებისათვის. ამ ბრძოლაში ენერგიულად ჩაება ახალგაზრდობა, რომელიც ავლენს საუკეთესო თვისებებს — იდეურ სიმტკიცეს, შრომისმოყვარეობას, ნებისყოფასა და გონიერებას, ფართო ერუდიციას.

მაგრამ სათქმელი უნდა ითქვას. დუმილით მხოლოდ გავაღრმავებთ საშიშროებას. საშიშროება კი არის და არცთუ მცირე, ვინაიდან თავდაპირველად შეუმჩნეველმა ვირუსებმა წარმოშვა სოციალური ბოროტება — ნარკომანია, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის ჩვენი ხალხის ახლანდელი და მომავალი თაობების კეთილდღეობას, ფიზიკურ და ზნეობრივ სიჯანსაღეს.

საქართველოში ოდითგან „ოპიუმით დაბანგულს" რომ უწოდებდნენ ადამიანს, ეს ნიშნავდა, რომ მას ყოველგვარი ადამიანური ღირსება ჰქონდა დაკარგული, მაშ რატომღა ვურიგდებით დღეს ზოგჯერ ჩვენს გვერდით ისეთი ადამიანების არსებობას, რომლებიც ამ დამღუპველი სენით არიან შეპყრობილი! თუ დაგვავიწყდა, ვინ არიან ისინი, ადამიანის სახედაკარგული არსებანი, რადგან მათ ადამიანს ველარ უწოდებ? ისინი ხომ ხშირად დაუნდობელი ბოროტმოქმედნი ხდებიან, რომლებსაც შეუძლიათ ნარკოტიკების დოზისათვის გასწირონ სხვისი სიცოცხლე, მშობლების, ოჯახის, შვილების, მეგობრების ღირსება და სიცოცხლე. მათ, ამ დამღუპველი სენით შეპყრობილ სრულიად უნებისყოფო ადამიანებს წმინდა ზნეობრივი, ადამიანური არაფერი შერჩენიათ.

ნარკოტიკების ხმარება ხშირად მოზარდების ცნობისმოყვარეობით იწყება. მაგრამ ამასთან მთავარი ფაქტორია მაინც ნარკომანების გაუკუღმართებული ფსიქიკა, ყმაწვილების სულს რომ ხრწნიან. მათი გავლენით ახალგაზრდები ეფლობიან მანკიერების ჭაობში და საბოლოოდ ბანგის ტყვეები ხდებიან. მისი ფასი კი „შავ ბაზარზე" ნიადაგ მატულობს. აი, რატომ არის, რომ ნარკომანთა უმრავლესობა სისხლის სამართლის დამნაშავეებად იქცევიან და დამნაშავეთა ჯგუფებს აკოწიწებენ. მათთვის უკვე უცხო აღარ არის ქურდობა, ყაჩაღობა, სხვისი სიცოცხლის ხელყოფა — და ყველაფერი ეს ფულისათვის, რომელიც საწამლავის შესაძენად სჭირდებათ. იშვიათი არ არის ამ წრეში თვითმკვლელობის შემთხვევებიც.

პარტიულმა, საბჭოთა, სამართალდაცვითმა ორგანოებმა შეურიგებელი ბრძოლა გააჩაღეს ნარკომანიის წინააღმდეგ. მაგრამ იგი საბოლოო გამარჯვებას ვერ მოგვიტანს, სანამ მასში არ ჩაებმებიან საზოგადოებრიობის ყველაზე ფართო ფენები, თითოეული, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი ხალხის პატივი და ღირსება, მომავალი თაობის ბედი, და მაშასადამე ჩვენი საზოგადოების მომავალიც.

მთელი ყურადღება, ძალ-ღონე და ცოდნა უნდა მოვახმაროთ ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილის გამაუკუღმართებელი დამღუპველი ტენდენციების აღმოფხვრას, ახალგაზრდობის სწორ სოციალურ ორიენტაციას, მის თვალში იმ ყალბ ღირებულებათა გაქარწყლებას, რომლებიც აფერხებენ მის ინტელექტუალურ და ზნეობრივ განვითარებას.

ასეთი სულიერი გამოფიტვის ნიმუშები ჩვეულებრივ შეიძლება აღმოაჩინოთ ოჯახებში, სადაც აღრეულია მორალური ორიენტირები, სადაც მოზრდილები თავიანთი მერკანტილური ინტერესების მონები ხდებიან, საკუთარ ცხოვრებას გადააქცევენ დასავლეთის ყაიდაზე პრესტიჟული მატერიალური კეთილდღეობის გამოდევნებად, და ხშირად ამას უშრომელი შემოსავლის მეოხებით შვრებიან. ამიტომ კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი ჩვენი ცხოვრების წესს, აღმოვფხვრათ ყველა პირობა, რომლებიც უბიძგებენ ბავშვებს უფსკრულისაკენ. ხელახალი შეფასება მივცეთ პრესტიჟულობის ცნებას, ჩავუფიქრდეთ სჭირდება კი ჩვენს ახალგაზრდობას მეტისმეტი „კომფორტი", მყუდროება, გონივრულობის ზღვარს გადაცილებული მშობლის მეურვეობა? მშობლის „ბრმა" სიყვარულის მერყევ ნიადაგზე ხომ არ ხარობს შემდეგ სხვისი მოიმედოობა, მუქთახორობა, განუკითხაობა ახალგაზრდობის ერთ ნაწილში? არადა, სწორედ ეს ზნეობრივი ანომალიები იწვევენ მორალურ დეგრადაციას, აღვირახსნილობას, საიდანაც ნარკომანიამდე ერთი ნაბიჯიღა რჩება.

აღარ შეიძლება თვალს ვხუჭავდეთ იმაზე, რომ საქართველოში ბოლო დროს ქალებს შორისაც მატულობს ნარკომანთა რიცხვი, ჩნდებიან ნარკომანი მშობლების მხამით დამახინჯებული ბავშვები.

პიროვნების, წარსული დამსახურებისა და საზოგადოებრივი მდგომარეობის მიუხედავად ყველამ უნდა ვაგოთ პასუხი შექმნილი სიტუაციისათვის ხალხისა და სახელმწიფოს წინაშე. ვის მიუძღვის ამაში ბრალი? თითოეულ ჩვენგანს.

ამიტომ საჯაროდ მოგმართავთ თქვენ, საქართველოს ყველა მცხოვრებს უბედურებით გაჭაღარავებული მშობლების სახელით, მომავალდაკარგული ახალგაზრდების სახელით.

მოგმართავთ თქვენ, ჩვენო ქალებო, ცოლებო და დედებო, დებო და ბებიებო, გახსოვდეთ, რომ ქალის ალერსიანი სიტყვა, კეთილისმყოფელი მაგალითი ის შეუცვლელი ადამიანური ძალაა, რომელსაც შესწევს უნარი დაიფაროს ჩვენი ახალგაზრდობა საშინელებისაგან.

ძვირფასო თანამემამულენო!

ჩვენს საერთო ოჯახს, ჩვენს მომავალს დღეს ნარკომანიის დამღუპველი გავლენისაგან დაცვა სჭირდება! თითოეული ჩვენთაგანის მოვალეობაა წინაღუდგეს ამ ბოროტებას.

**ეთერ სოლომონია** — სოციალისტური შრომის გმირი, თბილისის № 86 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი; **ზურაბ მეტონიძე** — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი; თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის" ელექტრომემონტაჟეთა ბრიგადირი; **არსენ ლოლიჯაშვილი** — სოციალისტური შრომის გმირი, გორის რაიონის ბერბუკის მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი; **ირაკლი აბაშიძე** — პოეტი-აკადემიკოსი; **ჭაბუა ამირეჯიბი** — მწერალი; **ვახტანგ ბერიძე** — აკადემიკოსი; **ნოდარ ამაღლობელი** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; **თამაზ გამყრელიძე** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი; **არმაზ სანებლიძე** — საქართველოს სატელერადიოს თავმჯდომარე; **ვიქტორ სანეევი** — სამგზის ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონი; **რობერტ სტურუა** — შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის მთავარი რეჟისორი; **ბაგრატ ტეხოვი** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სამხრეთ-ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი; **ირაკლი ციციშვილი** — საბჭოთა კავშირის გმირი; **ელდარ შენგელაია** — საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი; **თამაზ შავგულიძე** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, პროფესორი; **ზაურ ავიძბა** — აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

# საბავშვო ბაღიდან იწყება...

**საბჭოთა** კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში, რომლის ახალი რედაქცია სკკპ XXVII ყრილობამ დაამტკიცა, ნათქვამია: „მოსახლეობის ჯანმრთელობის გაკაჟებაში, პიროვნების ჰარმონიულ განვითარებაში, შრომისა და სამშობლოს დაცვისათვის ახალგაზრდობის მომზადებაში იზრდება ფიზიკური კულტურისა და სპორტის, ყოველდღიურ ცხოვრებაში მათი დანერგვის მნიშვნელობა. საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ ყოველი ადამიანი სიყმაწვილიდანვე ზრუნავდეს თავისი ფიზიკური სრულყოფისათვის, ჰქონდეს ცოდნა ჰიგიენისა და სამედიცინო დახმარების დარგში, ეწეოდეს ჯანსაღ ცხოვრებას".

პარტიის საპროგრამო მოთხოვნას ჩვენს ქვეყანაში აქვს მტკიცე სოციალური საფუძველი, კერძოდ, აღზრდის მთელი სისტემა, რომელიც ნორჩი თაობის სკოლამდელ ფიზიკურ განვითარებას ემსახურება. სკოლამდელი საბავშვო დაწესებულებები ის კერებია, სადაც საფუძველი ეყრება ბავშვთა ჰარმონიულ განვითარებას. ამ კერებში ზრუნავენ აღსაზრდელთა ჯანმრთელობის განმტკიცებაზე, თითოეულის კეთილდღეობაზე და ბედნიერებაზე. სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებების ფიზიკური აღზრდის პროგრამა მოზარდებში მოძრაობითი უნარ-ჩვევების გამომუშავებას ითვალისწინებს. პირველად აქ უნდა განიცადოს მოზარდმა სპორტული თამაშით მინიჭებული სიხარული, აქ, თანატოლებთან ურთიერთობაში შეიგრძნოს ბევრი რამ, რაც მას პიროვნებად ჩამოაყალიბებს. ამიტომ დაწესებულებები, სადაც მომავალი თაობა რამდენიმე წელიწადს ატარებს, განსაკუთრებული მზრუნველობით და ყურადღებით უნდა იყოს გარემოსილი. ამ დიდი, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანის გადასაჭრელად ორი საკითხია მოსაგვარებელი — საჭიროა კადრები და მატერიალური ბაზა. რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს რესპუბლიკაში, ვიყენებთ თუ არა სრულად არსებულ შესაძლებლობებს და რეზერვებს, როგორ ვიბრძვით მუშაობის გარდასაქმნელად, პასუხობს თუ არა სადღეისო მოთხოვნებს სკოლამდელ დაწესებულებებში შექმნილი მდგომარეობა? დღეიდან ჩვენი გაზეთი ამ თემაზე საჯაროდ და საგანგებოდ იწყებს საუბარს. გვჯერა, რომ პირუთვნელ მსჯელობასა და აზრთა გაზიარებაში სპეციალისტების გარდა მონაწილეობას მიიღებს, ყველა, ვისთვისაც ძვირფასია სვალინდელი დღე — ნორჩი თაობა, მისი ჯანმრთელობა, ქართული სპორტის ინტერესები.

პირველად სიტყვას ვაძლევთ საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილეს გივი თალაკვაძეს. აქვე გვინდა გაუწყოთ, რომ ფაქტიურად სკოლამდელ დაწესებულებებზე საუბრით ვიწყებთ ვრცელ თემატურ დიალოგს ფიზიკური აღზრდის იმ აქტუალურ საკითხებზე, რომელთა გადაჭრა აუცილებელია მუშაობის გარდასაქმნელად. საბავშვო ბაღებში პრობლემების წამოწევის, მისი დაძლევის გზების დასახვის და საუკეთესოთა გამოცდილების განზოგადების შემდეგ, სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, შრომით კოლექტივებში გადავინაცვლებთ.

● **ბატონო გივი, ჩვენს ქვეყანაში შემუშავებულია ფიზაღზრდის ერთიანი, მეცნიერულად დასაბუთებული სისტემა, რომლის მნიშვნელოვანი რგოლებია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა. ამჟამად ჩვენ სკოლამდელ დაწესებულებებზე ვისაუბრებთ. მოკლედ ხომ არ დაგვიხასიათებდით სადღეისო მდგომარეობას?**

— სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ფიზიკურ აღზრდას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სახელმწიფო, ჩვენი საზოგადოებრიობა. ნათქვამის საილუსტრაციოდ ვიტყვი, რომ განმტკიცდა სკოლამდელ დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კეთილმოეწყო ეზოები და სპორტული მოედნები, ბევრგან აშენდა საჭყუმპალაოები და საცურაო აუზები. მუშაობის გარდაქმნაში დიდად გვიწყობს ხელს პრაქტიკაში დანერგილი ფიზიკური აღზრდის ახალი პროგრამა, ბავშვთა ფიზიკური აქტიურობის გაზრდას გამაჯანსაღებელი მუშაობის უკეთ წარმართვითაც მივაღწიეთ. დანარჩენ ღონისძიებებს პირდაპირ ჩამოვთვლი: დღის რეჟიმით გათვალისწინებულ ორ მეცადინეობას დაემატა მესამე (ვარჯიში გასეირნების დროს), დილის საათებში და დღის მეორე ნახევარში ტარდება ფიზიკური ვარჯიშები და მოძრავი თამაშები, გაიზარდა მეცადინეობათა ხანგრძლივობა, სისტემატურად ტარდება გართობები, ზეიმები, ჯანმრთელობის დღეები. სასკოლო არდადეგების დროს კი ფართოდ გამოიყენება ფიზიკური აღზრდის ყველა ფორმა. ინერგება „მინიტურიზმი", რომელშიც ბავშვებთან ერთად ჩაბმული არიან მშობლები და ოჯახის წევრები. ყველაფერმა ამან განამტკიცა საბავშვო ბაღებისა და ოჯახის ურთიერთკავ-



იხ. მე-2 გვ.

# გაბრიჩიძე— მოსკოვის ჩემპიონია



ვლადიმერ გაბრიჩიძე ასპარეზობისას.

**მოსკოვის** ღია ჩემპიონატში საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა უძლიერესი ჩოგბურთელი მონაწილეობდა იმ სპორტსმენთა გარდა, რომლებიც ამჟამად აშშ-ის კორტებზე გამოდიან.

შესანიშნავად ითამაშა ვლადიმერ გაბრიჩიძემ. მან ნახევარფინალში ორ პარტიაში მოუგო უჟგოროდელ იოსიფ კროჩკოს. ფინალში ჩვენი სპორტსმენის მეტოქე ქვეყნის № 3 ჩოგანი კიეველი იგორ დოლგოპოლოვი იყო (თავად ვლადიმერ გაბრიჩიძე უძლიერესთა სიაში შარშან მე-12 იყო). გაბრიჩიძემ ორ პარტიაში, ისიც დამაჯერებელი ანგარიშით დაამარცხა — 6:2, 6:4 და დედაქალაქის ჩემპიონის სახელი მოიპოვა

ჩანს ჩვენი ახალგაზრდა ჩოგბურთელი კარგ სპორტულ ფორმაში შეხვდა წლევანდელ სპორტულ სეზონს. ალბათ გახსოვთ, რამდენიმე დღის წინ ვლადიმერ გაბრიჩიძე უკრაინის ღია პირველობაში მონაწილეობდა და იქაც დამაჯერებლად დაიკავა პირველი ადგილი.

# საბავშვო ბაღიდან იწყება...

(დასასრული)

შირი. სკოლამდელ დაწესებულებებში სასწავლო წლის ბოლოს იმართება სპორტული ზეიმები, მინისპარტაკიადები. ეს ღონისძიებები ტარდება მოზარდი თაობის გაჯანსაღების მიზნით და კარგი ფიზიკური მონაცემების მქონე ბავშვთა გამოსავლენად. ფიზიკური აღზრდის პრობლემებსა და მათი პრაქტიკულად გადაწყვეტის საკითხებს მიეძღვნა თბილისის ორჯონიკიძისა და 26 კომისრის სახელობის რაიონებში, ქუთაისში, ლაგოდეხსა და გურჯაანში ჩატარებული კონფერენციები. სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაკთათვის შემუშავდა სახელმძღვანელო რეკომენდაციები და მეცადინეობათა კომპლექსები. მეცადინეობები ტარდება ახალი მეთოდით, რომელიც ბავშვთა მაქსიმალურად დატვირთვას ითვალისწინებს.

● **ეს — რაც გაკეთდა, მაგრამ არანაკლებ საინტერესოა, მომავალში რის გაკეთებას და რა სიახლეების დანერგვას აპირებთ?**

უახლოეს მომავალში სკოლამდელი დაწესებულებების მუშაკებისა და მშობლებისათვის საქართველოს ტელევიზიით სისტემატურად, განსაზღვრული დროს მოეწყობა გადაცემები, რაც ხელს შეუწყობს ბავშვთა შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაშლას.

უფრო საქმიანი გახდა ჩვენი კონტაქტები ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტთან, რომლის კურსს მიმდინარე წელს დაამთავრებს სკოლამდელ დაწესებულებათა ფიზკულტურის მეთოდისტის კვალიფიკაციის მქონე პირველი გამოშვება; გვინდა ეს წამოწყება ექსპერიმენტად არ დარჩეს და ინსტიტუტმა ასეთი კადრები ყოველწლიურად მოგვიმზადოს, ხოლო ჩვენ მათ მიზნობრივ დასაქმებაზე ვიზრუნოთ. ამავე ინსტიტუტის თაოსნობით თებერვალსა და აპრილში ფიზიკური აღზრდის დარგში კვალიფიკაციას აიმაღლებს სკოლამდელი აღზრდის ასამდე სპეციალისტი. ვიმედოვნებთ, რომ ყველაფერი ეს კარგ შედეგს მოგვცემს.

გვაქვს სხვა საინტერესო ჩანაფიქრიც. იმისათვის, რომ ფიზკულტურა უფრო მასობრივი გახდეს, გადავწყვიტეთ ბავშვებისა და მშობლების მონაწილეობით მოვაწყოთ შეჯიბრებები სახელწოდებით: „მორბენალთა დეკადა", „მომავალი ჩემპიონი", „მინი კროსი" და ასე შემდეგ.

რაც მთავარია, უნდა განვამტკიცოთ სკოლამდელ დაწესებულებათა მატერიალური ბაზა, გავაფართოოთ საჭყუმპალაოებისა და საცურაო აუზების ქსელი, გავაუმჯობესოთ სამედიცინო-პედაგოგიური მუშაობა... ასე რომ, გასაკეთებელი, ცხადია, ბევრი გვაქვს.

● **სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ნორჩები, ცხადია, სისტემატური პედაგოგიურ-სამედიცინო დაკვირვების ქვეშ არიან. ეს პროცესი მოითხოვს პედაგოგებისა და მედიცინის მუშაკების ერთობლივ, შეთანხმებულ მუშაობას...**

— რა თქმა უნდა, მაგრამ ჩვენი ამოცანაა სრულვყოთ ეს პროცესი. კონკრეტულად გეტყვით: საბავშვო ბაღშივე უნდა გაირკვეს რა ვარჯიშებია უფრო საჭირო მოზარდისთვის, ინდივიდიალურად უნდა მივუდგეთ თითოეულს, ფაქტიურად უნდა გამოირიცხოს გადახრები ფიზიკურ განვითარებაში.

● **როგორ ფიქრობთ, საბავშვო ბაღებში სპორტის სპეციალისტებს შეუძლიათ აღმოაჩინონ მომავალი ჩემპიონები?**

— ასეთი პრაქტიკა არის, მაგრამ, რა თქმა უნდა, უკეთესი იქნება თუ იგი სისტემად იქცევა. ნორჩებს იზიდავს თამაშები, თამაშებში კი, როგორც იტყვიან, ხასიათი ჩანს. ხშირად უნდა ჩავატაროთ მასობრივი შეჯიბრებები, მხიარული სტარტები...

● **ალბათ უკვე გესახებათ პერსპექტივები სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა ფიზიკური აღზრდის გარდასაქმნელად.**

— გარდა იმისა, რაზეც უკვე ვისაუბრეთ, პირველ ყოვლისა, გადასაწყვეტია გახანგრძლივებული დღის საბავშვო ბაღების აღსაზრდელებთან მუშაობის, ბავშვთა კომპლექსური გაჯანსაღების, ბავშვის ჯანმრთელობაზე ოჯახისა და საბავშვო ბაღის ერთობლივი ზრუნვის, ფიზიკურ აღზრდაში პედაგოგიური განათლების მიღების, აღმზრდელთა სპეციალური მომზადების და სხვა საკითხები. თუ ყველა, ვისაც ამ საქმის მოგვარება ევალება, ერთნაირი პასუხისმგებლობის გრძნობით იმუშავებს, სასურველ შედეგს უეჭველად მივიღებთ.

● **საქართველოში შესანიშნავი ბუნებრივი პირობებია საიმისოდ, რომ ბავშვებმა მთელი წლის განმავლობაში სუფთა ჰაერზე ივარჯიშონ. როგორ ვიყენებთ ამ პირობებს?**

ზემოთ უკვე ითქვა, რომ რესპუბლიკის სკოლამდელი დაწესებულებები ხელმძღვანელობენ ფიზიკური აღზრდის ახალი პროგრამით, რომელიც ითვალისწინებს საბავშვო ბაღში დღის რეჟიმის ზუსტად დაცვას. პროგრამის მიხედვით, ფიზკულტურის გაკვეთილები და დილის გამამხნევებელი ვარჯიშები სუფთა ჰაერზე ტარდება. გარდა ამისა, ძილის წინ, ერთი საათის განმავლობაში, ბავშვები, როგორც წესი, ეზოში თამაშობენ; ხშირად ეწყობა სპორტული გართობები, შეჯიბრებები, ექსკურსიები.

● **ვასწავლით თუ არა სკოლამდელი ასაკის ბავშვებს ქართულ ხალხურ თამაშებს. საჭიროა თუ არა შეიქმნას ხალხური თამაშების სპეციალური სახელმძღვანელო?..**

— ქართული ხალხური თამაშები ქართველი ერის ცხოვრების ერთგვარი მატიანეა. მასში პოულობს გამოხატულებას ჩვენი ხალხის სიმამაცე, გამძლეობა, ვაჟკაცობა. სკოლამდელ დაწესებულებებში ფართოდ გამოიყენება ნ. შიშნიაშვილის მიერ შედგენილი კრებული „ქართული ხალხური თამაშები", მაგრამ ეს სახელმძღვანელო რამდენადმე მოძველდა, ამიტომ აუცილებელია გამოიცეს ახალი კრებული, მითუმეტეს, რომ ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სკოლამდელი აღზრდის ფაკულტეტზე ამ მიმართულებით უკვე წარმოებს მეცნიერული კვლევა-ძიება.

● **საინტერესოა, რამდენი საბავშვო ბაღია ჩვენს რესპუბლიკაში და აქედან რამდენს აქვს შესაფერისი სპორტული ბაზა — დარბაზი, ღია მოედანი, საცურაო აუზი.**

— დღეისათვის ჩვენს რესპუბლიკაში მუშაობს 2300-ზე მეტი საუწყებო სკოლამდელი დაწესებულება, მაგრამ სპორტული კომპლექსი მხოლოდ 40-მდე სკოლამდელ დაწესებულებას აქვს, ფუ ხაზს ვუსვამ: სპორტული კომპლექსი, თორემ ცალკეული მოწყობილობა, ე. ი. მხოლოდ მოედანი, დარბაზი ან სპორტული დანადგარებით აღჭურვილი ეზო, თითქმის ყველა საბავშვო ბაღს აქვს.

ჩვენი ვალია სწორედ ისეთი ბაღების რიცხვი გავზარდოთ, რომლებსაც სპორტული კომპლექსი ექნებათ. ამ ამოცანას მაშინ გადავჭრით, როცა მთელი საზოგადოება, ყველა უწყება მხარში ამოგვიდგება.

სკოლამდელი დაწესებულებების დამპროექტებლებმა და მშენებლებმა უნდა იცოდნენ, რომ დღეს საბავშვო ბაღი სპორტული დარბაზის საცურაო აუზისა და მინისტადიონის გარეშე წარმოუდგენელია, ამიტომ არქიტექტორებმა თავიდანვე პროექტში უნდა შეიტანონ ეს ობიექტები, რათა შემდგომში აღარ დაგვჭირდეს შენობებისა და ეზოების რეკონსტრუქცია. დღეს ხომ ძირითადად ამ გზით ვქმნით სპორტულ მატერიალურ ბაზას. გადასაწყვეტია სპორტული დანადგარებითა და იარაღებით საბავშვო ბაღების უზრუნველყოფის საკითხიც. საგარაკო ბაზების უქონლობის გამო, საზაფხულო-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები საბავშვო ბაღების შედარებით პატარა კონტინგენტისათვის ტარდება. უნდა განმტკიცდეს საწარმო-დაწესებულებებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა კონტაქტები, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა უნდა გააუმჯობესონ მშობელთა შორის სამედიცინო-პედაგოგიური მუშაობა.

ესაუბრა
**ნინო სიმონიშვილი.**

---

ამიერკავკასიის პროფესორ-მასწავლებელთა სპარტაკიადა



## სპარტაკიადა ტრადიციული გახდება

**საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, განათლების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტისა და „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს ინიციატივით თბილისის სპორტულ ბაზებზე, როგორც ვიუწყებოდით, გაიმართა ამიერკავკასიის უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა სპარტაკიადა.**

მინიფეხბურთში ფინალური მატჩი თბილისის სამედიცინო ინსტიტუტისა და აფხაზეთის უნივერსიტეტის ნაკრებ გუნდებს შორის გაიმართა. ძირითადი დრო ფრედ — 2:2 დამთავრდა და პენალტების სერიით გაიმარჯვეს სამედიცინო ინსტიტუტის ფეხბურთელებმა. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში თბილისის უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა დაამარცხეს სომხეთის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი — 3:2.

— სპარტაკიადა კარგად იყო ორგანიზებული, — გვითხრა სომხეთის ფიზკულტურის ინსტიტუტის ფეხბურთის კათედრის გამგემ, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატმა სტეფან ტიგანიანმა. გვინდა ერევანშიც ვუმასპინძლოთ ასეთსავე შეჯიბრებას. ამის თაობაზე უკვე ვესაუბრეთ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების გუნდების ხელმძღვანელებს.

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა თბილისის უნივერსიტეტის კოლექტივმა, რომელმაც გაიმარჯვა ცურვასა და ფრენბურთში, მეორე ადგილები დაიკავა ჭადრაკსა და ტყვიის სროლაში, მესამე — მძლეოსნობასა და მინიფეხბურთში.

კომპლექსურ ჩათვლაში მეორე იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივი, რომელმაც ჭადრაკსა და ტყვიის სროლაში პირველი, მძლეოსნობასა და ფრენბურთში მეორე, ხოლო ცურვაში მესამე ადგილი დაიკავა.

სამედიცინო ინსტიტუტის წარმომადგენლებმა ყველას აჯობეს მინიფეხბურთში და საერთო გუნდურ ჩათვლაში მესამე ადგილზე გავიდნენ.

გამარჯვებულები და საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები ფასიანი საჩუქრებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ. სპარტაკიადის ყველაზე ასაკოვან მონაწილეს, თბილისის უნივერსიტეტის ფრენბურთელთა გუნდის კაპიტანს, 71 წლის გ. ასლანიდს სპეციალური პრიზი გადაეცა.

გადაწყდა, მსგავსი შეჯიბრების გამართვა ტრადიციად აქციონ.

**ავთანდილ ქოქაშვილი,**
**თბილისის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის VI კურსის სტუდენტი.**

### მინიფეხბურთში

**მოსწავლეთა** საქალაქო პირველობის მონაწილენი ერთ თვეს იბრძოდნენ რესპუბლიკის პირველობაში მონაწილეობის საგზურის მოსაპოვებლად. ფინალური შეხვედრა სპორტკლუბ „ფოლადის" დარბაზში გაიმართა. ერთმანეთის პირისპირ დადგნენ მე-18 და მე-13 საშუალო სკოლის წარმომადგენლები. წარმატებას მე-18 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა მიაღწიეს— 6:2. მესამე ადგილზე მე-19 საშუალო სკოლის გუნდი გავიდა.

**ზურაბ ჩაჩავა.**
რუსთავი.

---

## გამოცდა საერთაშორისო ტურნირის წინ

**აფხაზეთის,** აჭარის, თბილისის, ქუთაისის, თელავის უძლიერესი ჩოგბურთელები მონაწილეობდნენ საქართველოს ზამთრის ჩემპიონატში, რომელიც ამ დღეებში თბილისში, ჩოგბურთის კორტების სასახლეში, გაიმართა. სარბიელზე 1973-74 წლებში დაბადებული მოზარდები გამოვიდნენ.

გოგონათა შორის ადგილები ასე განაწილდა: 1. რუსუდან მძინარიშვილი, 2. თეა მუჩაიძე, 3. თამარ ბერიძე. წყვილთა შორის საუკეთესონი იყვნენ რუსუდან მძინარიშვილი და თამარ ბერიძე, მეორე ადგილზე ი. კულდონაშვილი და ა. ქელეხსაევა გავიდნენ, მესამეზე — ნ. კორკუსოვა და ლ. ქელეხსაევა.

ვაჟთა შორის პირველი ადგილი წილად ხვდა ახლახან სევეროდონეცკში გამართულ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებულ გივი გორდაძეს. მეორე იყო საბჭოთა კავშირის გმირის შ. გამცემლიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირში სამგზის გამარჯვებული ბექარ ძაგანია. მესამე ადგილი პავლე მიდელაშვილმა დაისაკუთრა. ვაჟთა წყვილების შეჯიბრებაშია: 1. გორდაძე—მიდელაშვილი, 2. ჯანდიერი — ძაგანია, 3. კილასონიძე — ხუდოევი.

ამ შეჯიბრებაში გამარჯვებული რესპუბლიკის უძლიერესი ნორჩი ჩოგბურთელები მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო პირველობაში, რომელიც თებერვლის ბოლოს თბილისში ჩატარდება.

• • •

**მოსკოვში** დამთავრდა ბორისოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალი, რომელშიც საქართველოს ჩოგბურთელებიც მონაწილეობდნენ. ვაჟთა შეჯიბრებაში მეორე ადგილი დაისაკუთრა მიხაილ მღებროვმა („განთიადი"). გოგონათა ასპარეზობაში IV ადგილზე გავიდა მაია აბაშიძე (ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სკოლა).

**არტემ მალაიანცი,**
**საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.**

---

### რატომ დაიხურა სოხუმში ბადმინტონისტთა ჯგუფები?

**ბათუმში** დამთავრდა საქართველოს პირადი პირველობა ბადმინტონში 1973 წლამდე დაბადებულ გოგონებსა და ჭაბუკებს შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და წყალტუბოს წარმომადგენლები, ერთი სიტყვით, ამ ასაკის ყველა უძლიერესი სპორტსმენი სოხუმელების გარდა. საქმე ისაა, რომ სოხუმში დაიხურა (არავინ იცის რატომ) განათლების სამინისტროს ბადმინტონისტთა ჯგუფები, ეს მაშინ, როცა აქ ისეთი სპორტსმენები იზრდებოდნენ, რომელთაგან ბევრს დაუცავს საქართველოს ნაკრების ღირსება.

ასპარეზობის ორგანიზატორთა მიზანი იყო შეერჩიათ კანდიდატები რესპუბლიკის ნაკრები გუნდისათვის, რომელიც აგვისტოში თელავში მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე იასპარეზებს.

შეჯიბრება წრიული სისტემით ჩატარდა. გოგონათა ტურნირში, რომელშიც 24 ბადმინტონისტი გამოდიოდა, გაიმარჯვა ქუთაისელმა ე. მარგველაშვილმა. მეორე ადგილზე გავიდა თბილისელი ნ. ხალილაშვილი, მესამეზე — ბათუმელი გ. განალიძე.

ჭაბუკთა ტურნირში (28 მონაწილე) ჩემპიონობა ბათუმელმა ა. ხაჩატურიანმა მოიპოვა. მეორე ადგილი მისმა თანაგუნდელმა ტ. ვარშანიძემ დაიკავა, მესამე ადგილი — ქუთაისელმა ა. წულაძემ.

**ლევან ქავთარაძე.**

---

## დებიუტი შაშ-რენძიუში

**„ლელოს"** 15 იანვრის ნომერში აგიხსენით შაში-რენძიუს თამაშის წესები. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ მოთამაშეთა მიზანი არის 5 კოჭისაგან შემდგარი უწყვეტი მწკრივის აგება წრფეების გადაკვეთის ადგილზე. შავების, როგორც დამწყების უპირატესობის მოსპობისათვის, შემოღებულია ამკრძალავი სვლები — ფოლები. დიაგრამაზე ნაჩვენები იყო, თუ რომელი სვლების გაკეთება ეკრძალებათ შავებს.

ოსტატთა თამაშის დროს თეთრები შავებს ორ დებიუტს სთავაზობენ, რომელთაგან შავები ერთს ირჩევენ და თამაში გრძელდება — მოთამაშეები რიგრიგობით დებენ ქვებს. ტურნირებში და ჩემპიონატებში სათამაშოდ დამტკიცებულია 12 ვერტიკალური და 12 ჰორიზონტალური დებიუტი.

ალბათ იკითხავთ, რატომ 12-12 და არა მეტი? საქმე იმაშია, რომ ასეთი დებიუტი თამაშის დროს რომელიმე მხარის უპირატესობას მაქსიმალურად ამცირებს.

რას წარმოადგენს დებიუტი რენძიუში? ეს არის პირველი სამი სვლა. № 1 დიაგრამაზე ნაჩვენებია დიაგონალური დებიუტი. ე. ი. მე-3 ქვა (შავების), რომელ ნომერზეც დაიდება, ის ნომერი ექნება დიაგონალურ დებიუტს. მაგალითად, თუ მე-3 ქვა დაიდება მე-5 ნომერზე, ეს იმას ნიშნავს, რომ შემოთავაზებულია მე-5 დიაგონალური დებიუტი. ასევე ხდება ვერტიკალური დებიუტების დანომვრა, როგორც ეს მე-2 დიაგრამაზეა ნაჩვენები.

მე-3 დიაგრამაზე ნაჩვენებია მე-11 დიაგონალური დებიუტი. ამ პარტიაში შავები დანებდნენ მე-8 სვლის შემდეგ, მაგრამ ასეთი რამ იშვიათად ხდება. შავები იძულებულნი არიან ითამაშონ ა პუნქტში, პასუხად თეთრები თამაშობენ ბ პუნქტში და X-ზე იქნება ფოლი 3X3. თუ შავებმა ითამაშეს გ პუნქტში, მაშინ თეთრები დ პუნქტში ითამაშებენ და ქიშით აიძულებენ შავებს ა პუნქტში თამაშს, რის შედეგადაც თეთრებს ბ სვლით X პუნქტში შავებს აქვთ ფოლი 3X3.

**სანდრო ჯორბენაძე.**




დიაგრამა № 1




დიაგრამა № 2




დიაგრამა № 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# სასწაული მაინც არ მოხდა

ტურის ცენტრალური მატჩის წინ (ცსკა — „ჟალგირისი") ერთგვარი ფსიქოლოგიური უპირატესობა თითქოს ლიტველებს უნდა ჰქონოდათ, რადგან „ჟალგირისმა" ამ ჩემპიონატში ორჯერ დაამარცხა მთავარი მეტოქე, მაგრამ ცსკა არ გახლავთ ის გუნდი, რომელიც წარუმატებლობას ადვილად ეგუება და ასეთ სიტუაციაში „შურისძიების" გრძნობით არ ყოფილიყო გამსჭვალული.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ „ჟალგირისის" ორ გამარჯვებას ამ ეტაპზე მხოლოდ სტატისტიკოსებისთვის ჰქონდა მნიშვნელობა და ძალთა დღევანდელ შეფარდებას არ გამოხატავდა, რადგან ამ გამარჯვებების შემდეგ დიდი დრო გავიდა და გუნდების ძალებიც შესამჩნევად გადახალისდა.

ცსკა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ევროპის საკლუბო ტურნირში წარმატებით თამაშობს, რაც გუნდისთვის ერთგვარი დამატებითი სტიმულია, „ჟალგირისს" იმავე რანგის მეორე ტურნირში დიდი ხანია ხელი მოეცარა. შარშანდელ წარმატებას იგი, ცხადია, ველარ გაიმეორებს.

ამბობენ „ჟალგირისი" რამდენიმე ფრონტზე ბრძოლამ შესამჩნევად მოქანცაო. ეს ანგარიშგასაწევი არგუმენტი იქნებოდა, არმიელებიც ასეთივე მდგომარეობაში რომ არ იყვნენ. ლიტველთა თამაში უფრო იმიტომაა უფერული, რომ (თუნდაც ლენინგრადის „სპარტაკთან" შეხვედრა გაიხსენეთ), საბონისი დაშავებულია. დიახ, დასამალი არ არის, რომ საბჭოთა კალათბურთის აღიარებული ლიდერი დღეს მთელი ძალით ვერ თამაშობს.

გამოდის, „ჟალგირისს" ერთი კაცით უდგას სული. სხვათა შორის, საკალათბურთო წრეებში ამას ხშირად გაიგონებთ ხოლმე, რაც ჩვენის აზრით არ არის სწორი, საბონისის როლს „ჟალგირისში" არავითარ შემთხვევაში არ დავაკნინებთ, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ხომიჩუსის, კურტინაიტისის, იოვაიშას ან ბრაზისის მსგავსი ოსტატები თითებზეა ჩამოსათვლელი. საბონისი, ცხადია, საბონისია, მაგრამ ამ ორი თანაბარი კლასის გუნდიდან ერთ-ერთი, სახელდობრ ცსკა, დღეს უკეთ მომზადებული გვეჩვენება.

ამ გუნდების მესამე შეხვედრაში ცსკა-მ გაიმარჯვა, თუმცა 7 თებერვალს თბილისში კინაღამ ერთი საკალათბურთო სასწაული მოხდა: ტაიმი არმიელებმა დიდი უპირატესობით — 49:29 მოიგეს. ამიტომ მეორე ნახევარში პრობლემები მათ არ უნდა ჰქონოდათ, მაგრამ...

მატჩის შემდეგ ერთხელ კიდევ გადავხედეთ შეჯიბრების ოქმს და ბევრი საინტერესო, ამ შეხვედრისთვის ნიშანდობლივი ნიუანსი აღმოვაჩინეთ. ტკაჩენკომ (ცსკა), მაგალითად პირველ ნახევარში თავის გუნდს ათი ქულა მოუტანა, საბონისმა — ექვსი. მელეშკინს (ცსკა) შესვენებისთვის ცხრა ქულა ჰქონდა მოგროვილი, კრაპიკასს („ჟალგირისი") — არც ერთი. ყველაზე საგულისხმო სხვაობას ენდენის (ცსკა) და ხომიჩუსის („ჟალგირისი") შედეგებში მივაგენით. არმიელმა კალათბურთელმა პირველ ოც წუთში თავის კოლექტივს თექვსმეტი ქულა შესძინა, ხომიჩუსმა კი მხოლოდ ორი (!), კიდევ ერთი დეტალი — ცსკა-მ პირველ ტაიმში ორი საჯარიმო სროლა ვერ გამოიყენა, „ჟალგირისმა" — ხუთი. როგორც ხედავთ, არმიელებმა შეხვედრის პირველ ნახევარში მეტოქე ყოველმხრივ დაჩაგრეს.

მაგრამ შემდეგ სურათი მკვეთრად შეიცვალა. ცსკა-მ იოლი გამარჯვების მოლოდინში ერთბაშად დათმო ინიციატივა და კინაღამ მწარედ დაისაჯა. გასაკვირი კი იყო: არმიელთა რანგის გუნდი ბრძოლით მოპოვებულ უპირატესობას ასე ადვილად რომ თმობდა. ოთხ წუთში „ჟალგირისმა" 12 ქულა „დაიბრუნა", 33-ე წუთისთვის კი სხვაობა 3 ქულამდე შემცირდა. 38-ე წუთზე საბონისმა გუნდი დააწინაურა და მხოლოდ მატჩის მიწურულში იხსნა ტარაკანოვის ზუსტმა სროლამ ცსკა მარცხისაგან (73:73).

დამატებითი ხუთი წუთი ლიტველებმა საბონისისა და კურტინაიტისის გარეშე ჩაატარეს. „ჟალგირისის" რეზერვები ამოიწურა და ბრძოლის ბედიც ამან გადაწყვიტა. ტურის მთავარი მატჩი სანახაობრივად საინტერესო გამოდგა, ამიტომ შეცდომები ორთავე მხარეს მიეტევება.

ამ დღეს თბილისის „დინამოსაც" პრინციპული მატჩი ჰქონდა და უნდა ითქვას, რომ ლენინგრადის „სპარტაკთან" შეხვედრის პირველი ნახევარი გუნდმა ღირსეულად ჩაატარა. ადრეც გვითქვამს, რომ ერთი ხუთეულით ბრძოლა ნებისმიერ გუნდთან ძნელი საქმეა, მით უფრო მაშინ, როცა მეტოქეს „სკამიც გრძელი" აქვს, მაგრამ ზოგჯერ თურმე შეიძლება საკუთარ თავს გადააჭარბო და შეუძლებელი შეძლო.

მეორე დღეს ტურისა და ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერთან მოსკოვის ცსკა-სთან შეხვედრაში თბილისელმა კალათბურთელებმა დაამტკიცეს, რომ თამაში ამ შემადგენლობითაც შეუძლიათ. რეზერვის გამოსაცდელად ყველაზე უპრიანი ექსტრემალური პირობებია. აქ ვლინდება თითოეული მოთამაშისა და მთელი კოლექტივის უნარი და შესაძლებლობა. „დინამომ" ერთხელ კიდევ დაამტკიცა, და ეს არის ყველაზე სასიხარულო, რომ ბოლო წლები უქმად არ დაუკარგავს, რომ იგი უკვე გარკვეულ ძალას წარმოადგენს და სულ მალე დაიბრუნებს თავის სახეს. სხვათა შორის, თბილისში ჩამოსული სპეციალისტებიც ასე ფიქრობენ.

შეეძლო თუ არა „დინამოს" ამ მატჩის მოგება? სანამ ოპოშნიანი „იდგა" მოედანზე, ალბათ შეეძლო, ყოველ შემთხვევაში, მატჩის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე ჯერ არაფერი იყო გარკვეული, მაგრამ ის, რომ 34 წუთის განმავლობაში თბილისელები ფლობდნენ ინიციატივას, თავისთავად ბევრს ნიშნავს. „დინამოსათვის" ამ ეტაპზე ერთი რომელიმე მატჩის მოგება თვითმიზანს აღარ წარმოადგენს. უფრო მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ გუნდმა უძლიერესთა ექვსეულში მონაწილეობა თავისი თამაშით გაამართლა.

ვიღაც ალბათ უკმაყოფილოა ამ შედეგით, ბევრს, ცხადია, გულიც დაწყდა, მაგრამ თუ დინამოელთა დღევანდელ მდგომარეობას გავითვალისწინებთ, ჩვენის აზრით ყველაფერი რიგზე უნდა იყოს. ახლა მთავარია „დინამომ" რაც შეიძლება სწრაფად მოიშუშოს „ჭრილობები" და თებერვალ-მარტის მატჩებს მზადყოფნაში შეხვდეს.

დამთავრდა 54-ე საკავშირო ჩემპიონატის ფინალისტთა თბილისის ტური. გათამაშების ცხრილში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. ცსკა-მ და „ჟალგირისმა" გათამაშების საშუალედო ფინიში იმ თანმიმდევრობით გადაკვეთეს, როგორითაც ჩემპიონატის პირველი ეტაპი. სუპერფინალის მთავარი მონაწილენიც, ალბათ, ისინი იქნებიან. ბრინჯაოს მედლებისთვისაც საკმაოდ მძაფრი ბრძოლაა მოსალოდნელი. ოთხი პრეტენდენტიდან საპრიზო ადგილზე გასვლის იმედი არც ერთს არ დაუკარგავს. ეს გარემოება ჩემპიონატის სიუჟეტს ერთი-ორად უფრო გაართულებს.

**ნოდარ გუგუშვილი.**

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 27 | 22 | 5 | 2571-2195 | 49 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 27 | 20 | 7 | 2368-2178 | 47 |
| „სპარტაკი" (ლენინგ.) | 27 | 15 | 12 | 2205-2171 | 42 |
| „დინამო" (თბილისი) | 27 | 15 | 12 | 2145-2256 | 42 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 27 | 14 | 13 | 2191-2228 | 41 |
| ვეფ (რიგა) | 27 | 13 | 14 | 2416-2464 | 40 |



ალექსანდრე ფერიაშვილი (დაიბადა 1967 წელს, სიმაღლე — 208 სანტიმეტრი) თბილისის კალათბურთის მოყვარულებმა ამ ერთი კვირის წინ ხელახლა „აღმოაჩინეს". ადრე იგი სათადარიგოთა სკამზე იჯდა, ამ დღეებში კი გუნდის ერთ-ერთი აქტიური წევრი გახდა. ახალგაზრდა კალათბურთელს აქვს ყველაფერი, რაც საჭიროა ამ სახეობისთვის — სიმაღლე, კარგი ნახტომი, ზუსტი სროლა; მას აქვს კიდევ ერთი დასაფასებელი თვისება — სითამამე. სწორედ ამიტომ არ გაურბის ბრძოლას და ხშირად კრიტიკული სიტუაციებიდან გამარჯვებულიც გამოდის.

სურათზე: ფერიაშვილი მეტოქის ფარქვეშ.

## მხოლოდ სტატისტიკა

თბილისი. სპორტის სასახლე. 7 თებერვალი.

„დინამო" (თბილისი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი) 79:84 (49:45).

„დინამო": დარსაძე (19), ტიუბინი (19), ოპოშნიანი (16), კაპუსტინი (15), ფერიაშვილი (10), ტალაბაძე, გეგეშიძე.

„სპარტაკი": გრიშაევი (25), მალცევი (15), ჟარკოვი (14), ფეოდოროვი (13), კოროლიოვი (10), უგრიუმოვი (4), ხარჩენკოვი (3), კისელიოვი, გორინი.

მსაჯები: ბ. ცარიკოვი (გომელი), ვ. მუხინი (ბაქო).

თბილისი. სპორტის სასახლე. 7 თებერვალი.

ცსკა — „ჟალგირისი" (კაუნასი) 83:80 (49:28, 73:73).

ცსკა: ენდენი (26), მელეშკინი (16), ტარაკანოვი (13), ტკაჩენკო (12), ვოლკოვი (6), ტიხონენკო (6), ლოპატოვი (2), პოპოვი (2), პონკრაშკინი.

„ჟალგირისი": საბონისი (21), კურტინაიტისი (19), ხომიჩუსი (10), ჩივილისი (8), კრაპიკასი (8), ბრაზისი (8), იოვაიშა (6), ლეკარაუსკასი.

მსაჯები: ვ. სუურკასკი (ტალინი), ს. ფომინი (სმოლენსკი).

თბილისი. სპორტის სასახლე. 7 თებერვალი.

„შახტიორი" (დონეცკი) — ვეფ (რიგა) 98:84 (45:31).

„შახტიორი": ბაბენკო (27), ერმოლინსკი (26), კაჩურა (19), ბოგდანოვი (11), ივახნენკო (8), შევჩენკო (5), კროპაჩოვი (2), ლუკიანეცი.

ვეფ: ვალტერსი (30), ეკობსონსი (29), დუდოროვი (10), მუიჟნიეკსი (6), კარავაევი (5), ლიეპა (2), კალნინში (2), მიგლინიეკსი.

მსაჯები: ო. გორბატოვი (კუიბიშევი), ი. კოვალიოვი (გომელი).

თბილისი. სპორტის სასახლე. 8 თებერვალი.

„დინამო" (თბილისი) — ცსკა 66:77 (40:37).

„დინამო": ტიუბინი (19), ოპოშნიანი (16), დარსაძე (10), კაპუსტინი (9), ფერიაშვილი (6), გეგეშიძე (5), ტალაბაძე (1), ბოროდაჩოვი.

ცსკა: ვოლკოვი (20), ტკაჩენკო (17), ენდენი (12), მელეშკინი (11), ტიხონენკო (6), ტარაკანოვი (6), პოპოვი (3), ბაზარევიჩი (2), ლოპატოვი.

მსაჯები: ვ. სუურკასკი (ტალინი), ო. გორბატოვი (კუიბიშევი).

თბილისი. სპორტის სასახლე. 8 თებერვალი.

„ჟალგირისი" (კაუნასი) — „შახტიორი" (დონეცკი) 86:80 (49:39).

„ჟალგირისი": საბონისი (26), ხომიჩუსი (13), ჩივილისი (12), ვენცლოვასი (11), ბრაზისი (10), ლეკარაუსკასი (8), კურტინაიტისი (6), კრაპიკასი.

„შახტიორი": ერმოლინსკი (23), ივახნენკო (20), იუსუპოვი (9), კაჩურა (8), ბაბენკო (7), შევჩენკო (6), ბოგდანოვი (5), კროპაჩოვი (2).

მსაჯები: ბ. ცარიკოვი (გომელი), ს. ფომინი (სმოლენსკი).

თბილისი. სპორტის სასახლე. 8 თებერვალი.

„სპარტაკი" (ლენინგრადი) — ვეფ (რიგა) 83:79 (45:40).

„სპარტაკი": გრიშაევი (17), გორინი (14), ჟარკოვი (12), კისელიოვი (11), პავლოვი (10), შჩეტინინი (10), კოროლიოვი (4), ხარჩენკოვი (3), მალცევი (2).

ვეფ: ვალტერსი (24), ეკობსონსი (14), მუიჟნიეკსი (13), ლიეპა (11), კარავაევი (7), კალნინში (6), მელნიკი (2), დუდოროვი (2).

მსაჯები: ი. გოლინსკი (კალუგა), ვ. მუხინი (ბაქო).



## ოსტატ ფეხბურთელთა მატჩი დაზარალებულთა დასახმარებლად

თბილისელი სპორტის მოყვარულები 14 თებერვალს მეტად საინტერესო საფეხბურთო მატჩს ნახავენ. ამ დღეს ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართება უმაღლესი ლიგის ოსტატთა გუნდების მატჩი, ერთმანეთს შეხვდებიან „დინამო" (თბილისი) — „ნეფთჩი" (ბაქო). „დინამოს" გუნდის ხელმძღვანელებისა და ფეხბურთელთა ინიციატივით ორივე გუნდის მოლაპარაკების საფუძველზე შეხვედრის მთელი შემოსავალი გადაეცემა წყალდიდობისა და ზვავებისგან დაზარალებული დასავლეთ საქართველოს რაიონების მოსახლეობის დახმარების ფონდს.

გარდა ამისა, თბილისის „დინამოსა" და ბაქოს „ნეფთჩის" ფეხბურთელთა დღიური ხელფასი აგრეთვე გადაეცემა დაზარალებულთა დახმარების ფონდს.

მატჩი „დინამოს" სტადიონზე 14 თებერვალს შედგება 15 საათზე. უამინდობის შემთხვევაში თამაში „ლოკომოტივის" სტადიონზე ჩატარდება.



## მათთვის, ვინც გარეთ დარჩა

კალათბურთელთა ნებისმიერი შეჯიბრება ჩვენს ქალაქში არნახული ზეიმია, საკავშირო ჩემპიონატის ფინალისტთა თბილისის ტური კი დიდი საკალათბურთო დღესასწაულის ჭეშმარიტ გვირგვინს წარმოადგენდა. ტურის უმნიშვნელოვანეს მატჩებს ტელევიზია გადასცემდა, თბილისის სპორტის სასახლე ხუთი დღის მანძილზე მაყურებელს ვერ იტევდა. და მაინც, ბევრი გულშემატკივარი, სპორტის ამ სახეობის ჭეშმარიტი ქომაგი, დარჩა გულდაწყვეტილი იმის გამო, რომ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი კლუბების თამაშს ვერ დაესწრო.

თბილისის სპორტის სასახლის ადმინისტრაციამ ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ ეს ზეიმი უფრო ფერადოვანი და დასამახსოვრებელი ყოფილიყო, რისთვისაც სასახლის თანამშრომლები მადლობას იმსახურებენ. დიახ, მათ სპორტის სასახლის წინ მოფუსფუსე უბილეთო მაყურებელზეც იზრუნეს.

დამზადდა ორი ვეებერთელა (2X2 მეტრზე) ტელეეკრანი, რომლებიც სასახლის შემოსასვლელში, თაღებქვეშ დაიდგა, უბილეთოდ დარჩენილები სიხარულს ვერ ფარავდნენ იმის გამო, რომ შესაძლებლობა მიეცათ იქვე, სასახლის გვერდით ექცქირათ თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის ცსკა-ს კალათბურთელთა მატჩისთვის. გულშემატკივარს ხომ მხოლოდ ერთი სურვილი ამოძრავებს: იყოს მოვლენათა ცენტრში, მისი უშუალო მონაწილე. სპორტის სასახლის დირექციამ მათ ამის საშუალება შეძლებისდაგვარად მისცა. კარგი წამოწყებაა! ამ ტელეეკრანებს კარგ ამინდში, რა თქმა უნდა, უფრო დიდი აუდიტორია ეყოლებათ.

სურათზე: მაყურებლები სპორტის სასახლის იმპროვიზირებულ ტელეეკრანებთან.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სსრ კავშირის ჩემპიონატი კრივში

# „სპორტჰალესთან“ ხალხმრავლობაა

**კაუნასი, 9 თებერვალი,** (ტელეფონით, „ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი). ლიტვის ამ ქალაქში ბევრი სტუმარი ჩამოვიდა, კაუნასის ცნობილ „სპორტჰალესთან“ უბილეთოების მთელი არმია დგას ნანატრი ბილეთის მოლოდინში. იქნებ გგონიათ კალათბურთის აღიარებული დიდოსტატები ეწვივნენ ბალტიისპირეთს? არა, ამ დღეებში საბონისისა და კურტინაიტისის ნაცვლად აქ ტყავის ხელთათმანის უძლიერესი ოსტატები გამოდიან. ა. შოციკასის, რ. ტამულისის, ი. იოციავიჩუსის, ვ. ბინგიალისისა და ა. ზურზას სამშობლოში ახლა უძლიერესი მოკრივეები იბრძვიან საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად. „სპორტჰალეს“ რინგზე 210 ათლეტი შეიკრიბა, მათ შორის სამი სპორტის დამსახურებული ოსტატია, 42 — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი და 165—სპორტის ოსტატი. ეს ჩემპიონატი საკავშირო ნაკრების მზადების ერთ-ერთი ეტაპია ევროპის მომავალი ჩემპიონატისთვის, რომელიც სულ მალე იტალიაში გაიმართება. ქვეყნის ჩემპიონთა ვინაობას 15 თებერვალს შევიტყობთ, მანამდე კი ცხარი ბრძოლებია კაუნასის რინგზე.

საქართველოს სპორტულ დელეგაციაში 11 მოკრივეა. მათგან ყველაზე სახელოვანნი არიან: ქვეყნის ექსჩემპიონი, ხალხთა IX სპარტაკიადისა და მეგობრული არმიების საერთაშორისო ტურნირის ვერცხლის პრიზიორი ალბერტ კაზანჯიანი, ხალხთა IX სპარტაკიადის, კეთილი ნების თამაშებისა და მსოფლიოს იუნიორთა ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელი ხვიჩა ხდრიანი, საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი, საკავშირო ჩემპიონატებისა და კეთილი ნების თამაშების ბრინჯაოს მედალოსანი იური სავოჩკინი, ევროპის იუნიორთა პირველობის მესამე პრიზიორი, მრავალ დიდ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული რუდიკ კაზანჯიანი.

„სპორტჰალეს“ რინგზე ერთ-ერთი პირველი რ. კაზანჯიანი (48 კგ) გამოვიდა. მან ქულებით დაამარცხა უკრაინის წარმომადგენელი ვ. სპინდასი და სულ მცირე ბრინჯაოს მედალი გაინაღდა. ხ. ხდრიანმა (54 კგ) პირველ წრეში უკრაინის გუნდის წევრს ი. მილიშჩუკს მოუგო ქულებით. ი. სავოჩკინი, დომენტი დანელია, ა. კაზანჯიანი და ემელიანე ჭულუხაძე გუშინ გვიან საღამოს გამოვიდნენ რინგზე და ამიტომ მათ შესახებ მომავალ რეპორტაჟებში გიამბობთ. ჩვენი დანარჩენი მოკრივეები ბრძოლას გამოეთიშნენ.

## ელვა-ინფორმაცია

**ორჯონიკიძეში** დამთავრდა საბჭოთა კავშირის პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის. ოქროს მედალი მოიპოვა გორელმა ნუგზარ ნასყიდაშვილმა (52 კგ). მეორე ადგილებზე გავიდნენ სოხუმელი პაატა ხურციძე (74 კგ), თბილისელები — მერაბ ვალიევი (100 კგ) და მალხაზ მაისაშვილი (130 კგ). გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრებმა მეორე ადგილი დაიკავა.

# პირველი ოთხეული და ახალი ოსტატობის კანდიდატი

**სამტრედია** (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ). დამთავრდა საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა 47-ე ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი, რომელმაც გამოავლინა რესპუბლიკის I ლიგის პირველობის ოთხი საგზურის მფლობელი. 9 ქულით (+8—1=2) I ადგილი დაიკავა ნუკრი მანაგაძემ (ქუთაისი). 8-8 ქულით II–V ადგილები გაიყვეს ნიკოლოზ ლეკვეიშვილმა (სამტრედია), კახა შალამბერიძემ, იური ნეჩაევმა (ორივე — თბილისი) და ბესო ხეცურიანმა (ქუთაისი). უკეთესი კოეფიციენტის წყალობით დარჩენილი 3 საგზური დაისაკუთრეს ლეკვეიშვილმა, შალამბერიძემ და ნეჩაევმა. გათამაშებაში მონაწილე ორმა ქალმა — გორელმა ციალა ქასოშვილმა და სამტრედიელმა სოფიკო ტერელაძემ შესაბამისად 7,5 და 7 ქულა მოაგროვეს. ციალამ VI-IX ადგილები გაიყო, სოფიკომ — X-XIII. ტურნირის ყველაზე უმცროსმა მონაწილემ, 11 წლის სამტრედიელმა ბორის ჩაბრაძემ 6,5 ქულით ოსტატობის კანდიდატის წოდება მოიპოვა.

**ბეჟან ჩხაიძე,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი, სამტრედიის საჭადრაკო სკოლის დირექტორი.**

# დაიწყო მეორე ნახევარი

**საგარეჯოში** გრძელდება საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირი. 15-დან უკვე 8 ტური გათამაშდა. ბრძოლა დაძაბულად მიმდინარეობს. როგორც იცით, ფინალის საგზურებს I-II ადგილებზე გასულნი მიიღებენ. ჯერჯერობით 6,5 ქულით გარდაბნელი მაია ხუციშვილი ლიდერობს. 6 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს თეა ლანჩავას (ქუთაისი). შემდეგ მოდიან მზია ფანიაშვილი (რუსთავი) — 6, მირანდა თავაძე (თბილისი)—5,5 (1), ნანა ქურდაძე (ახალციხე) — 4,5 (1), დიანა დარჩია (ბათუმი) — 4,5...

**მერაბ თხელიძე,**
**„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი.**

# საწვრთნელი მატჩები

**საქართველოს** უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდები ემზადებიან მომავალი სეზონისთვის, მართავენ საწვრთნელ მატჩებს. თბილისის დინამოელებმა განვლილ შაბათს ორი შემადგენლობით ითამაშეს რუსთავის „მეტალურგთან“ და თბილისის „შევარდენი-სპი“-სთან, და მოიგეს ორივე შეხვედრა.

გთავაზობთ თბილისის „დინამოს“ პირველ შემადგენლობას რუსთავის გუნდთან: გაბელია, სვანაძე, ჩივაძე (აფციაური), ჩედია, მალანია, კორღალიძე, სულაქველიძე, გოგრიჭიანი, ფანცულაია, გურული, ბიგვავა.

ლანჩხუთის „გურია“, რომელიც ახლა შავი ზღვის სანაპიროზე იმყოფება, შეხვდა II ლიგის ნოვოროსიისკის „ცემენტნიკს“. ლანჩხუთელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 4:1, ორი ბურთი გაიტანა ხლუსმა, თითო — კოპალეიშვილმა და კაპანაძემ.

„გურიამ“ ასეთი შემადგენლობით ჩაატარა მატჩი: იმნაძე, კონდრატიევი, ბონდარუკი, გილიგაშვილი, მელიქია, ებანოიძე, კოპალეიშვილი, ტ. კაპანაძე, ჩხაიძე, ხლუსი, მეგრელაძე.

11 თებერვალს ლანჩხუთის „გურია“ საკონტროლო მატჩში შეხვდება ბაქოს „ნეფთჩის“.

## ევროპის ჩემპიონატი V ჯგუფი

**ნიქოზიაში** გაიმართა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი კვიპროსისა და უნგრეთის ნაკრებ გუნდებს შორის.

უნგრელებმა მხოლოდ დაძაბული ბრძოლის შემდეგ შეძლეს მეტოქის დამარცხება — 1:0, ეს ერთადერთი ბურთი 49-ე წუთზე გაიტანა ბოდამ. აღსანიშნავია, რომ ეს უნგრელ ფეხბურთელთა პირველი გამარჯვებაა საკვალიფიკაციო ჯგუფში.

გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 10-6 | 6 |
| ჰოლანდია | 3 | 2 | 1 | 0 | 3-0 | 5 |
| პოლონეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 3 |
| უნგრეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 1-3 | 2 |
| კვიპროსი | 4 | 0 | 0 | 4 | 3-10 | 0 |

# ბადუ ზაკი—აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელი

**ევროპის** 1986 წლის საუკეთესო ფეხბურთელად საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი, კიევის „დინამოს“ თავდამსხმელი იგორ ბელანოვი დაასახელეს, სამხრეთ ამერიკაში უძლიერესად ურუგვაელი ალცამენდი აღიარეს, აფრიკის კონტინენტზე კი — მაროკოელი ბადუ ზაკი. 27 წლის ზაკიმ, მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილემ, გაიმეორა თავისი თანამემამულის, მუჰამედ ტიმუმის წარმატება, რომელიც 1985 წელს გახდა აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელი. სხვათა შორის, 1960 წლის შემდეგ ბადუ ზაკი რიგით მეხუთე მაროკოელია, რომელმაც ეს საპატიო ჯილდო დაიმსახურა — რეფერენდუმში გამარჯვებულმა მაროკოს ეროვნული ნაკრების მეკარემ 125 ქულა მოაგროვა და საგრძნობლად ჩამოიტოვა „სიონში“ მოთამაშე თანამემამულე აზიზ ბუდერბალა (88 ქულა) და კამერუნელი როჟე მილა (80).

აფრიკის კონტინენტზე მაროკოს ეროვნული ნაკრები ერთ-ერთ უძლიერესად ითვლება. მაროკოელები ორჯერ — 1970 და 1986 წლებში მონაწილეობდნენ მსოფლიოს ჩემპიონატებში და მსოფლიოს საფეხბურთო ფესტივალის 56-წლიან ისტორიაში აფრიკის გუნდებს შორის პირველები იყვნენ, რომლებმაც შეძლეს ქვეჯგუფში გამარჯვება — 1986 წელს მექსიკაში მაროკოელებმა ორი შეხვედრა ფრედ (ინგლისისა და პოლონეთის ნაკრებებთან — 0:0) დაამთავრეს და დაამარცხეს პორტუგალიელები (3:1). მექსიკაში 260 წუთის მანძილზე ზაკი წარმატებით იცავდა მაროკოელთა კარს. ეს ტრადიცია პორტუგალიელმა დიამანტიმ დაარღვია. მეორე გოლი ზაკის კარში გფრ-ის ნაკრებთან მერვედფინალურ შეხვედრაში გავიდა, როდესაც მატჩის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე მეკარემ ვერ მოიგერია მატეუსის მიერ დარტყმული ბურთი. „სულელური გოლი გავიდა. კედელი სწორად იდგა, მაგრამ დარტყმის მომენტში ამოძრავდა სადანი, — იხსენებს მაროკოელთა კარის დარაჯი. — მაროკოელთა ძლიერ მხარედ დაცვა მიმაჩნია. თავდასხმაში ისინი ბევრ გუნდს ტოლს არ უდებენ, მაგრამ როგორც ჩანს, ყველაფერი ჯერ კიდევ არ არის რიგზე...“

თავის სამშობლოში ზაკი მეტად პოპულარული პიროვნებაა. პირველი, ვისაც მექსიკაში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატის დროს, მაროკოს მეფე ჰასან II ტელეფონთან ითხოვდა, ბადუ ზაკი იყო. „მართალია, დასაევს, ბატსს, შუმახერს, კერპებად არ მივიჩნევ, მაგრამ მათი თამაშის სტილი მომწონს“. ზაკის ამ განცხადებამ სპეციალისტთა ერთი ნაწილი გააოცა, ისინი მაროკოელს უფრო საიმედო მეკარედ მიიჩნევენ, ვიდრე ზემოჩამოთვლილ მოთამაშეებს.

შეკითხვაზე, რამდენჯერ დაუცავს ქვეყნის ეროვნული ნაკრების ღირსება, ზაკი პასუხობს: „203-ჯერ“. შესაძლოა ეს რიცხვი ბევრმა არარეალურად მიიჩნიოს, მაგრამ ზაკი სხვაგვარად თვლის — იგი ამხანაგურ მატჩებსაც სათვალავში იღებს, უკანასკნელი 8 წლის მანძილზე მან 100 მატჩი გამართა ნაკრებში და ამ მხრივ მხოლოდ თავის თანამემამულე მცველ დოლმის ჩამორჩება. დოლმის 232-ჯერ ეცვა მაროკოს ეროვნული ნაკრების მაისური.

ბადუ ზაკი 16 წლის იყო, როცა, კასაბლანკის ერთ-ერთ ახალგაზრდულ გუნდში ჩაირიცხა. ამ კლუბის ღირსებას იცავდა შემდგომში მაროკოს ერთ-ერთი უძლიერესი ფეხბურთელი აზიზ ბუდერბალა. პირველად ნაკრების შემადგენლობაში ზაკიმ 19 წლისამ ითამაშა. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეხვედრა მაროკოელებმა წააგეს (1:2) ტოგოს ნაკრებთან, მას შემდეგ ზაკის არავისთვის დაუთმია ძირითადი მეკარის პოსტი. „მსურს კიდევ რამდენიმე წელი ვითამაშო. ხომ გაგიგონიათ, ღვინო, რაც უფრო ძველია, მით უკეთესია“...

**მალხაზ რადიანი.**

## რაგბი

„ხუთი ერის პირველობის“ წლევანდელმა გათამაშებამ, რომელიც 17 იანვარს უნდა დაწყებულიყო, მხოლოდ გასულ შაბათს აიღო სტარტი. დიდთოვლობისა და ყინვების გამო შეჯიბრების ორგანიზატორებმა პირველი ტურის მატჩები (ინგლისი — შოტლანდია, უელსი — ირლანდია) 4 აპრილისათვის გადაიტანეს. პირველობა მეორე ტურის მატჩებით დაიწყო. პარიზში, „პარკ დე პრენსზე“, ფრანგებმა უელსელებს უმასპინძლეს. პირველი ტაიმი სტუმრებმა მოიგეს 9:3 (სამი საჯარიმო გაიტანა უელსელთა მცველმა სორნბერნმა), მაგრამ შესვენების შემდეგ ბლანკოს, სელასა და ბერბიზიეს შემწეობით თამაში მაინც ფრანგებმა მოიგეს — 16:9. დუბლინის „ლენსდაუნ როუდზე“ ირლანდიელებმა, რომლებმაც შარშან ტურნირის ოთხივე მატჩი წააგეს, „მშრალი“ ანგარიშით 17:0 (9:0) სძლიეს ინგლისელებს. ირლანდიელებს 13 ქულა ქირნენმა შესძინა, 4 — ქროსანმა. მორიგ ტურში — 21 თებერვალს მიურეიფილდში (ედინბურგის გარეუბანია) შოტლანდიელები ეთამაშებიან ირლანდიელებს, ლონდონის მახლობლად თვიქნემში ინგლისელები ფრანგებს შეხვდებიან.

## ძიუდო

# 16 პრიზიორი

**ახლახან** მოსკოვში გაიმართა ნორჩ ძიუდოისტთა საკავშირო ტურნირი. ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის — „იუნოსტის“ პრიზისთვის ბრძოლაში სხვებთან ერთად ჩაება საქართველოს გუნდი (უფროსი მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი შალვა მელაძე), რომელიც ძირითადად გორელი მოჭიდავეებით იყო დაკომპლექტებული. ჩვენმა მოჭიდავეებმა ყველა მეტოქე ჩამოიტოვეს და პირველი ადგილი დაიკავეს. ჩვენს გუნდში 20 სპორტსმენი იყო, რომელთაგან 16 საპრიზო ადგილზე გავიდა.

პირად ტურნირში გაიმარჯვეს ვადიმ მაზიაშვილმა, ზაზა ფსუტურმა, ზაზა ხინჩიკაშვილმა, რეზო ჩოჩიშვილმა და ლაშა პეტრიაშვილმა, მეორე ადგილები დაიკავეს ილია ჩიმჩიურმა, რამაზ ჩოჩიშვილმა, მერაბ ტეტუნაშვილმა, კობა სუხიტაშვილმა და დავით ტაბატაძემ, მესამე — მამუკა ტეტუნაშვილმა, მიხეილ მინდიაშვილმა, გია ვაზაგაშვილმა, ალექსანდრე ვალიევმა, დავით პავლიაშვილმა და სოსო მაჭარაშვილმა.

**ილია თევდორაშვილი.**
**„ლელოს“ კორ.**

## წყალბურთი

# კვლავ დამარცხდნენ

**ყაზანში,** I ლიგის წყალბურთელთა საკავშირო პირველობის მატჩებში, როგორც ვიუწყებოდით, თბილისელი არმიელები ვოლგოგრადის „სპარტაკთან“ შეხვედრაში დამარცხდნენ. სამწუხაროდ, თბილისელებმა მომდევნო ორ შეხვედრაშიც — მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის გუნდთან და მინსკელ არმიელებთან დამარცხება იწვნიეს.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

# დღეს თბილისის სპორტის სასახლეში



## კვლავ გვეწვია მინიფეხბურთი

თბილისის სპორტის სასახლეში დღეს იწყება საინტერესო საქალაქთაშორისო ტურნირი მინიფეხბურთში, საასპარეზოდ ჩვენს ქალაქში უკვე ჩამოვიდნენ ბაქოს, ერევნის, რიგის, ბათუმის გუნდები. თბილისიდან შეჯიბრებაში გამოვლენ ადგილობრივი „ვერა“ და „ვაკე“.

თამაშების დასაწყისი დღეს 16 საათიდან.

# ნორჩ ფეხბურთელთა შერჩევა-მიღება

**ქ. თბილისის** გახანგრძლივებული დღის რეჟიმის საფეხბურთო სპეციალიზებული ექსპერიმენტული 35-ე საშუალო სკოლის ხელმძღვანელობა აცხადებს 1976-1977-1978 1979 წლებში დაბადებულ ნორჩთა შერჩევა-მიღებას.

მსურველებს შეუძლიათ გამოცხადნენ თბილისის სტუდქალაქის სტადიონზე (ჭავჭავაძის პროსპექტი № 37). მათ აქ დახვდებიან გამოცდილი მწვრთნელები და აღმზრდელები. ნორჩ ფეხბურთელთა გასინჯვა იწარმოებს ყოველ დღე 9 საათსა და 30 წუთიდან 12 საათამდე და 16-დან 19 საათამდე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“;

რედაქციის ტელეფონები:
ხამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 ✗ უე 06761